

მარიამ ბაზალი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნანა დოლიძე

მედიის როლი გლობალური პანდემის პირობებში

რეზიუმე

გლობალური პანდემიის პირობებში მედიის როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან მას გავლენა აქვს როგორც, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, ისე პანდემიის მართვისა და პრევენციის პროცესებზე. მედიის აქტორები, აზრის ლიდერები, ეგრეთ წოდებული ინფორმაციული ბაბლები, ფილტრები და გეითები ეფერები ერთობლივად ქმნიან კომპლექსურ მედიაეკოსისტემას, რომელიც შეიძლება იყოს როგორც სანდო ინფორმაციის წყარო, ასევე დეზინფორმაციისა და კონსპირაციული თეორიების გავრცელების ხელშემწყობი.*

ნებისმიერი კრიზისის დროს კრიტიკულად მნიშვნელოვანია მედიის აქტორების როლი. ჟურნალისტები და რედაქტორები პასუხისმგებელნი არიან ფაქტების გადამოწმებაზე, სანდო ინფორმაციის გავრცელებასა და დეზინფორმაციის განეიტრალებაზე. მაგალითად, პანდემიების დროს, მათ მიერ სწორად შერჩეული და გადამოწმებული ინფორმაცია ხელს

უწყობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვასა და კრიზისის ეფექტურ მართვას.

აზრის ლიდერები (opinion leaders) მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საზოგადოების დამოკიდებულებებსა და ქცევებზე. პანდემიის დროს, ექსპერტები, საჯარო პირები და სოციალური მედიის ინფლუენსერები ფართოდ იყენებენ თავიანთ პლატფორმებს, რათა საზოგადოებას მიაწოდონ მნიშვნელოვანი და ზუსტი ინფორმაცია. თუმცა, ასევე არსებობს რისკი, რომ საპირისპირო (მათ შორის ანტივაქსერი) აზრის ლიდერებმა და დეზინფორმატორებმა, იმავე პლატფორმების გამოყენებით, თავიანთი გავლენის გასამყარებლად ხელი შეუწყონ მცდარი ინფორმაციის გავრცელებას.

ინფორმაციული ბაბლები (filter bubbles) და ფილტრები (filters) წარმოადგენენ მნიშვნელოვანი მექანიზმებს, რომლებიც განსაზღვრავენ, როგორი ინფორმაცია მიეწოდება მომხმარებლებს. ალგორითმები, რომლებიც სოციალურ

* Chadwick, What, 2019.

მედიასა და საძიებო სისტემებში გამოიყენება, ხშირად მომხმარებლების უკვე არსებულ შეხედულებებს აძლიერებენ.

Gatekeepers - სიტყვასიტყვით თარგმანში კარიბჭის მცველებს ნიშნავს, მედიასთან მიმართებაში - იმ რედაქტორებს, ჟურნალისტებს ან მედიასამუშალებებს, რომლებიც განსაზღვრავენ, რომელი ამბავი ან ინფორმაცია მიეწოდოს საზოგადოებას, თან რა ფორმით. ისინი მოქმედებენ სხვადასხვა მედიასამუშალებით, მათ შორის - სოციალური ქსელებით. აქვთ უნარი, განსაზღვრონ, რომელი ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი და რომელი არა. მათი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიზისის დროს, როდესაც სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდება გადამწყვეტია. გეითქიფერები უნ-

და მუშაობდნენ იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ სანდო ინფორმაციის გავრცელებასა და დეზინფორმაციის შეზღუდვას.

გლობალური პანდემიის დროს მედიის როლი შეუცვლელია. მედიასამუშალებების, აზრის ლიდერების, ალგორითმებისა და კარიბჭის მცველების ერთობლივი ძალისხმევა აუცილებელია საზოგადოების ინფორმირებულობის, დეზინფორმაციის განეიტრალებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისთვის. კრიზისის დროს მედიის პასუხისმგებლობა და სანდოების უზრუნველყოფა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა საზოგადოებამ მიიღოს ზუსტი და სანდო ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მას გააზრებული და სწორად მართული გადაწყვეტილებების მიღებაში.

საკვანძო სიტყვები: *ექობა ლატები, გეითქიფინგი, ფილტრები, აზრის ლიდერები, კორონავირუსი, COVID_19, გლობალური პანდემია, დეზინფორმაცია, მისინფორმაცია.*

მედია ტექნოლოგიების როლი იმდენად დიდია, რომ მილიონობით სხვადასხვა სახის ინფორმაციის გაცვლა და მიღება შეგიძლია ყველა სფეროში. თანამედროვე მასმედიის სპეციფიკისა და ფუნქციების ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მასობრივი კომუნიკაციების თეორიის, არამედ იმის გაცნობიერებაც, როგორ ჩაანაცვლა მატერიალური რეალობა ვირტუალურმა.

1990 წლიდან აქტიურად მკვიდრდება ტერმინი „კონვერგენცია“, რომელიც გაციფრულების პროცესს აღწერს, დღეს კი უკვე მედიის, ტექნოლოგიისა და კულტურული ფორმების ინტეგრაციის აღწერისთვის გამოიყენება. კონვერგენცია თანამედროვე მასობრივი

კომუნიკაციისა და მედიის მთავარი მახასიათებელია, რომელიც მას გლობალურ სისტემაში აერთიანებს.¹

ერთი მხრივ, ტექნოლოგიამ მნიშვნელოვნად გაამარტივა დიდ აუდიტორიაში ინფორმაციის გავრცელება, რაც დადებითი მოვლენაა, რადგან ნებისმიერი ადამიანის ხმა მარტივად და სწრაფად შეგვიძლია გავივით. მეორე მხრივ, ასევე მარტივად შესაძლებელი გახდა ფართო აუდიტორიაში ცრუ ინფორმაციის გავრცელება.

ყალბი ამბების გავრცელების სიმწვავე მსოფლიომ COVID_19-ის პანდემიის დროს იგრძნო. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პროცესს **ინფოდემია** უწოდა.² გადაუმოწმებელმა ინფორმაციამ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეუქმნა საფრთხე.

გაჩნდა ტერმინები მისინფორმაცია და დეზინფორმაცია. მისინფორმაცია - ადამიანის მიერ უნებლიედ დაშვებული შეცდომაა, დეზინფორმაცია - მიზანმიმართული ქმედებაა, რომელიც გარკვეული შედეგის მიღებაზეა ორიენტირებული.

დეზინფორმაცია როგორც ტრადიციული, ასევე სოციალური მედიასაშუალებებით ვრცელდება. ის შეიძლება გარკვეული პოლიტიკური ან კომერციული ინტერესების გავლენით იყოს გაზიარებული. Facebook, X, TikTok, YouTube, Instagram და სხვა პლატფორმები ყველაზე სწრაფი და მასშტაბური გზაა დეზინფორმაციის გასავრცელებლად, რადგან უმეტესად მომხმარებლები ინფორმაციას გადამოწმების გარეშე აზიარებენ.

დეზინფორმაციის გასავრცელებლად არსებობს ცნობილი ტექნიკები: ბოტები და ტროლები - ყალბი ანგარიშები და დაქირავებული პირები მიზანმიმართულად თირაუიერებენ დეზინფორმაციას; Deepfake ვიდეოები - ხელოვნური ინტელექტით შექმნილი ყალბი ვიდეოები; ფოტომანიპულაცია - დამუშავებული სურათები, რომლებიც არასწორ შთაბეჭდილებას ქმნის.

ვირტუალურ სივრცეში გამოკეტილი საზოგადოებისთვის ციფრული სამყარო იყო „გარესამყაროსთან“ ურთიერთობის მთავარი პლატფორმა, სწორედ ამიტომაც პანდემიის შესახებ ინფორმაციისა თუ დეზინფორმაციის გავრცელების სიკეთეები და საფრთხეები დღემდე შესწავლის საგანია.

¹ Jenkins, Convergence, 2016.

² Cinelli, Quattrococchi, Galeazzi, Valensise, Brugnoli, Schmidt, Zola, Zollo, Scala, The COVID_19, 2020.

მსოფლიო პანდემიის გაშუქება ფილტრებისა და გეითქი-ფინგის თეორიის მიხედვით

გეითქიფინგის თეორია პირველად ჩამოაყალიბა კურტ ლევინმა (Kurt Lewin) 1947 წელს, როდესაც ის იკვლევდა ოჯახებში საკვების შეძენის გადაწყვეტილებებს. მოგვიანებით ამ კონცეფციამ ფართო გამოყენება ჰპოვა მასობრივი კომუნიკაციის სფეროში.³ 1950-იან წლებში დევიდ მენინგ უაიტმა (David Manning White) გამოიყენა ეს თეორია მედიის კონტექსტში და შეისწავლა, როგორ ირჩევენ რედაქტორები საინფორმაციო მასალას.⁴

გეითქიფინგის თეორია მედიისა და კომუნიკაციის ერთ-ერთი ცენტრალური კონცეფციაა, რომელიც აღწერს იმ პროცესს, რომლის მეშვეობითაც ინფორმაციის შერჩევა, მოდიფიკაცია და გადაცემა ხდება აუდიტორიამდე. ეს თეორია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასობრივი კომუნიკაციის სფეროში, რადგან იგი ხაზს უსვამს მედიის როლს ინფორმაციის კონტროლში და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში.

ამერიკელი პროფესორების - ედუარდ ჰერმანისა და ნოამ ჩომსკის⁵ მიხედვით, არსებობს ეგრეთ წოდებული „ფილტრები“, რომლებიც ადვილად ხსნის, თუ როგორ გამოიყენება დომინანტი მედიასაშუალებები მმართველი კლასის ინტერესების პროპაგანდისათვის.

ფილტრები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

სარედაქციო მიდგომები - მედია ორგანიზაციები ირჩევენ და არედაქტირებენ მასალას, რომელიც ასახავს მათ სარედაქციო პოლიტიკას, მსოფლმხედველობას ან კომერციულ ინტერესებს. ამ პროცესის შედეგად, გარკვეული თემები ან შეხედულებები შეიძლება არ გაჟღერდეს ამა თუ იმ მედია საშუალებაში, ან მათ მიერ ინტერპრეტირებული მასალა მიეწოდოს აუდიტორიას;

ალგორითმები: სოციალური მედიისა და საძიებო სისტემების ალგორითმები განსაზღვრავენ, თუ რომელი ინფორმაცია ან კონტენტი იქნება ნაჩვენები მომხმარებლებისთვის. ალგორითმები იყენებენ მომხმარებლის ქცევის, ინტერესებისა და წარსული აქტი-

³ Lewin, *Frontiers*, 1(2), 1947, pp. 143–153.

⁴ White, *The GateKeeper*, 27(4), 1950, pp. 383–390.

⁵ Herman, Chomsky, *Manufacturing*, 1988.

ვობების ანალიზს, რათა შექმნან პერსონალიზებული საინფორმაციო ნაკადი. ამან შეიძლება გამოიწვიოს „ინფორმაციული ბუშტები“ ან „ექოპალატები“, სადაც მომხმარებლები ხედავენ მხოლოდ იმას, რაც შეესაბამება მათ შეხედულებებს და ინტერესებს;

სეფ-ფილტრაცია: მომხმარებლები თავად ირჩევენ, რომელი ინფორმაციის მიღება სურთ. მათ შეიძლება აირიდონ ისეთი წყაროების ან თემების ნახვა, რომლებიც არ შეესაბამება მათ მოსაზრებებს ან ინტერესებს;

გეითქიფერები (Gatekeepers) არიან ინდივიდები ან ჯგუფები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს, თუ რა ინფორმაცია უნდა იყოს შერჩეული და როგორ უნდა იყოს წარმოდგენილი. ესენი შეიძლება იყვნენ ჟურნალისტები, რედაქტორები, პროდიუსერები და მედია მენეჯერები.

დღესდღეობით, კარიბჭის თეორია აქტუალური რჩება ციფრულ და სოციალურ მედიაში. ალგორითმები და პლატფორმების ადმინისტრატორები ხშირად ასრულებენ კარიბჭეების მცველების როლს, რადგან ისინი განსაზღვრავენ, რა კონტენტი უნდა იყოს ნაჩვენები მომხმარებლებისთვის.

ალგორითმების ეპოქაში, მოქალაქეები ვეღარ აკონტროლებენ სიახლეებს, რადგან სოციალური მედია თავად არის მაკონტროლებელი იმისა, თუ რა დაინახოს მომხმარებელმა და რა - არა.

ამ მიმართულებით საინტერესოა ელი პარიზერის ნაშრომი, „ფილტრის ბუშტი“ (The Filter Bubble)⁶ კვლევა საძიებო სისტემების თავისებურებებს ეხება. მისი მოსაზრებით, სოციალური ქსელები მომხმარებელს მხოლოდ იმ შინაარსს აჩვენებენ, რომელიც მათ, სავარაუდოდ, სიამოვნებთ, ეს კი ვებგვერდს მომხმარებლის ქცევისა და გემოვნების შესახებ მიღებული ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე ხდება.

ონლაინ სერვისები სულ უფრო და უფრო მეტს სწავლობენ მომხმარებელთა შესახებ, რაც მათი ქცევის პროგნოზირების სიზუსტეს ამაღლებს. შეუძლიათ განსაზღვრონ, რისი ნახვა სურთ. სწორედ ამ ფენომენს უწოდებენ საინფორმაციო ბუშტს, სადაც მომხმარებელს არასდროს შეხვდება იმ ტიპის ინფორმაცია, რომელიც მას იმედებს გაუცრუებს.

⁶ Pariser, The Filter, 2011.

პანდემიის დროს გაიზარდა დეზინფორმაციის და ყალბი ინფორმაციის გავრცელების საფრთხე. ინფორმაციის ნაკადების მართვა და სწორად დოზირება აუცილებელი იყო, რათა პანიკა და არასწორი შეხედულებები თავიდან აეცილებინათ.

ახალი ამბების შემქმნელები განსაზღვრდნენ, რომელი ინფორმაცია როგორ უნდა წარმოჩენილიყო, რათა საზოგადოება სწორად ყოფილიყო ინფორმირებული.

პანდემია და ექოპალატები

ტერმინი „ექოპალატა“ (Echo chamber) მომდინარეობს ინგლისური „echo“ (ექო, ანუ განმეორებული ხმა) და „chamber“ (პალატა, ოთახი) სიტყვებისგან. მისი კონცეფცია მეტაფორულად აღწერს ისეთ გარემოს, სადაც ადამიანები მხოლოდ იმ შეხედულებებს, მოსაზრებებსა და ინფორმაციას იღებენ, რომლებიც მათთვის უკვე არსებული შეხედულებების შესაბამისია. ამ ტერმინს დღეს უკვე ფართოდ იყენებენ მედიისა და კომუნიკაციის სფეროში, რათა სოციალურ მედიაში ინფორმაციის გავრცელების ფორმები აღწერონ.⁷

ციფრულ ერაში „ექოპალატა“ ხშირად ასოცირდება სოციალური ქსელების ალგორითმებთან, რომლებიც მომხმარებლებს ძირითადად იმ ინფორმაციას აწვდიან, რაც მათ ინტერესებსა და შეხედულებებს ემთხვევა და რითაც ეგრეთ წოდებული ინფორმაციული ბუშტების (filter bubble) ფორმირება ხდება. სოციალურ ქსელებში ყველა აღმოჩენილვართ ჯგუფში, სადაც მომხმარებლები ერთსა და იმავე მოსაზრებებს იზიარებენ. ჩვენც მივყვებით და ვიმეგობრებთ სწორედ იმ ადამიანებს, რომლებსაც ვეთანხმებით. მსგავს გარემოს – სადაც ადამიანი მხოლოდ მის პერსპექტივებთან ახლოს მყოფ შეხედულებებს ხედავს – ექოპალატები ჰქვია.

პანდემიის დროს გავრცელებული დეზინფორმაცია და ყალბი ინფორმაცია, როგორცაა ვაქცინაციასთან დაკავშირებული რისკები, მკურნალობის არასწორი მეთოდები და დაავადების წარმოშობის თეორიები, ხშირად იყო ექოპალატებში განხილვის საგანი. მომხმარებლები, რომლებიც იყენებდნენ მხოლოდ შემლუდული ინფორმაციის წყაროებს, იღებდნენ მხოლოდ იმ მონაცემებს, რომლებიც მათ შეხედულებებს უახლოვდებოდა, აძლიერებდა მათ მი-

⁷ Möller, Filter, pp. 92-100.

კერძოებულობას, ზრდიდა ყალბ ინფორმაციაში დარწმუნების და ამ პირობებში არასწორი არჩევანის გაკეთების რისკს.

ექოპალატები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ ადამიანების გადაწყვეტილებებზე ვაქცინაციის, ნიღბის ტარებისა თუ სხვა პრევენციული ზომების მიღების შესახებ. სოციალურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია ხშირად იწვევდა იმ ტიპის სარისკო ქცევას, რომელიც საფრთხეს უქმნიდა საზოგადოებრივ ჯანმრთელობას. პანდემიის შესახებ მსჯელობდნენ იმგვარ ჯგუფებში, რომელთაც 10000-ობით გამოძიებული ჰყავდა, მსჯელობდნენ როგორც რიგითი მოქალაქეები, ასევე ცნობადი სახეები, თუ ავტორიტეტული ინსტიტუციები. მსჯელობები კი, უმეტეს წილად, სამედიცინო თემების არასამეცნიერო არგუმენტების განხილვების გარშემო იგებოდა.

COVID_19-ის პანდემიის დროს საქართველოში რამდენიმე საკვანძო პიროვნება და ჯგუფი აქტიურად ებრძოდა დეზინფორმაციას.

გაგუას კლინიკის ინიციატივით შეიქმნა ფეისბუქ ჯგუფი „ორსულობა და კოვიდ-19“. ჯგუფში გაწევრიანება ნებისმიერ ორსულსა და მეძუძურ დედას შეეძლო. ჯგუფის წევრები მათთვის საჭირო და საინტერესო ინფორმაციას იღებდნენ.

ერთ-ერთი გამორჩეულად აქტიური ექიმი იყო არჩილ მარშანია, ანესთეზიოლოგი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა COVID_19 ვაქცინების შესახებ ზუსტი ინფორმაციის გავრცელებაში. ის მონაწილეობდა UNICEF-ისა და USAID-ის მიერ ორგანიზებულ ინიციატივებში, რომლებიც მოიცავდა მედიცინის სტუდენტების ტრენინგს ვაქცინაციის ხელშეწყობისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ საქართველოს შორეულ და ეთნიკურ უმცირესობათა რეგიონებში.⁸

კოვიდპანდემიის დროს შეიქმნა ჯგუფი „მედგიდიც“ - რომელიც უამრავი ადამიანი იყო გაწევრიანებული და „მედგიდის“ ექიმები ხალხს დისტანციურად უწევდნენ დახმარებას.⁹

დეზინფორმაციასთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მედიაჩეკერმა და მითების დეტექტორმა. მედიაში გაჟღერებულ დეზინფორმაციას ისინი აანალიზებდნენ და ფაქტებს უპირისპირებდნენ.

⁸ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პანდემიას, 2021.

⁹ ფორტუნა, უფასო, 2020.

ვაქცინაციისა და დაავადების მართვის საკითხებზე განსხვავებული პოლიტიკური და სოციალური პოზიციები უფრო მეტად გამყარდა და კონფლიქტები გამწვავდა.

კორონავირუსის პანდემიის დროს ექოპალატებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს საზოგადოების ინფორმირებულობასა და ჯანმრთელობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაზე. ამასთან, ექოპალატების არსებობამ გარკვეულად პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობის გამწვავებასაც შეუწყო ხელი, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული მოსაზრებების მქონე ჯგუფები მკაცრად იზოლირებულნი იყვნენ ერთმანეთისგან. დემინფორმაციისა და ყალბი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც წარმოიშვა დახურულ სოციალურ სივრცეებში, ეგრეთ წოდებულ პალატებში, აისახა საზოგადოების ქცევასა და ზოგადად პანდემიის მართვაზე. ამ ფენომენის გაანალიზება და მისი შედეგების გათვალისწინება მნიშვნელოვანია მომავალი ჯანდაცვის კრიზისების მართვისა და საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესებისთვის.

სოციალური მედიის პლატფორმები თანამშრომლობდნენ ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციებთან, რათა გაემართლებინათ და გაეფილტრათ დემინფორმაცია.

COVID_19-ის პანდემიამ აჩვენა, რომ კრიზისების დროს მნიშვნელოვანია, მედიასაშუალებებმა მკაცრად დაიცვან ჟურნალისტური ეთიკის პრინციპები და გადამოწმებული წყაროებით იმუშაონ.

პანდემიის დროს დემინფორმაციისა და კონსპირაციული თეორიების გავრცელება მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. მედიასაშუალებებით გაჟღერებული ინფორმაცია არაერთგვაროვან რეალობას ქმნიდა.

სოციალური მედიის უპირატესობას ინფორმაციის გავრცელების სისწრაფე წარმოადგენს, ამასთან, მას ინფორმაციული გარემოს ფორმირებაც შეუძლია. ბოტებისა და ტროლების გამოყენებით, დემინფორმატორები მიზანმიმართულად ავრცელებდნენ ყალბ ინფორმაციას, რაც ხელს უშლიდა პანდემიის მართვას.

Deepfake ვიდეოები, ფოტომანიპულაციები და ყალბი ექსპერტული აზრები ხშირად საზოგადოებრივ დისკურსს არასწორი მიმართულებით ცვლიდა.

ექოპალატების მუშაობამ აჩვენა, როგორი სახიფათოა ადამიანებს მიაწოდო მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც მათ შეხედუ-

ლებებს ემთხვევა. ვაქცინაციის, პრევენციული ზომებისა და მკურნალობის შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელებამ მნიშვნელოვნად დააზიანა პანდემიის მართვის პროცესი.

სოციალური ქსელების პლატფორმებმა უნდა გააუმჯობესონ ალგორითმების მუშაობა, რათა მომხმარებლებს მრავალფეროვან წყაროებზე ჰქონდეთ წვდომა. აუცილებელია კრიტიკული აზროვნებისა და მედიაწიგნიერების განვითარება. ადამიანებმა უნდა შეძლონ ინფორმაციის გადამოწმება და სანდო წყაროების ამოცნობა.

სახელმწიფო ინსტიტუტებმა და მედიასაშუალებებმა უნდა იმუშაონ ერთად, რათა საზოგადოებას მიეწოდოს დროული და ზუსტი ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს კრიზისების ეფექტურ მართვას. მედიის პასუხისმგებლიანი მუშაობა, საზოგადოების კრიტიკული აზროვნების განვითარება და ეფექტური რეგულაციები კრიზისების დროს, საზოგადოებს დეზინფორმაციის მავნე გავლენისგან იცავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Chadwick P., What is Journalism? In Today's World, There Are Four Key Purposes, 2019. <https://www.theguardian.com/commentisfree/2019/nov/17/what-is-journalism-for-key-purposes> 05/02/2026
- Cinelli M., Quattrocioni W., Galeazzi A., Valensise M. C., Brugnoli E., Schimidt L. A., Zola P., Zollo F., Scala A., The COVID_19 Social Media Infodemic, 2020. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/33024152/> 05/02/2026
- Herman E. S., Chomsky N., Manufacturing Consent: The Political Economy of the Mass Media, 1988.
- Lewin K., Frontiers in Group Dynamics: II. Channels of Group Life: Social Planning and Action Research, Human Relations, 1(2), 1947.
- Möller J., Filter Bubbles and Digital Echo Chambers, In The Routledge Companion to Media Disinformation and Populism, 2021.
- Pariser E., The Filter Bubble: What the Internet Is Hiding from You, New York, 2011.
- Rothgerber H., Wilson T., Whaley D., Rosenfeld D. L., Humphrey M., Moore A., Bihl A., Politicizing the COVID-19 pandemic, 2020.
- Tahamtan I., Potnis D., Mohammadi E., Singh V., Miller E. L., The Mutual Influence of the World Health Organization (WHO) and Twitter Users During COVID-19: Network Agenda-Setting Analysis, 2022. <https://>

- www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC9045487/ 05/02/2026
- Viner K., A Mission for Journalism in a Time of Crisis, 2017. <https://www.theguardian.com/news/2017/nov/16/a-mission-for-journalism-in-a-time-of-crisis> 05/02/2026
 - White D. M., The Gate Keeper: A Case Study in the Selection of News, *Journalism Quarterly*, 27(4), 1950.
 - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „პანდემიას ასრულებ შენ!“ – ბსუ-ს სტუდენტები ვაქცინაციის კამპანიაში ერთვებიან, 2021. <https://www.bsu.edu.ge/main/page/16064/index.html> 05/02/2026
 - ბერძენიშვილი თ., პოპულარული კულტურის ახალი ხედვა და მედია როგორც მისი ძირითადი მედიუმი, 2022.
 - კუტუბიძე ლ., „ჯადოსნური ტყვიდან“ – „ფილტრებამდე“ და „ნარჩობამდე“. https://artsmediajournal.tafu.edu.ge/wp-content/uploads/2024/09/N14_media_003_Laura-Kutubidze.pdf 05/02/2026
 - ფორტუნა, უფასო, სადღეღამისო, შეუზღუდავი სამედიცინო დახმარება ყველას – ექიმი, რომელმაც პანდემიის დროს შეუძლებელი შეძლო, 2020. <https://www.fortuna.ge/ufaso-sadgheghamiso-sheuzghudavi-samedicino-dakhmareba-yvelas-eqimi-romelmac-pandemiis-dros-sheudzlebeli-shedzlo-2/> 05/02/2026

MEDIA STUDIES

Mariam Bazali,

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
Doctoral student of the Art Sciences,
Media and Management Faculty

THE ROLE OF MEDIA IN GLOBAL PANDEMICS

Keywords: echo chambers, gatekeeping, filters, opinion leaders, coronavirus, COVID-19, global pandemic, disinformation, misinformation

Abstract

In a global pandemic, the role of the media acquires exceptional salience because it shapes public opinion and directly influences both crisis management and prevention. Media actors, journalists, editors, opinion leaders, algorithm-driven “filter bubbles,” and institutional gatekeepers jointly create a complex information ecosystem that can deliver verified facts or amplify disinformation and conspiracy narratives.

During any emergency, professional journalists and editors carry a critical responsibility: rigorous fact-checking, contextualisation, and transparent communication of verified findings support public health and enable effective crisis governance. In pandemic conditions, accurately selected and thoroughly vetted coverage helps protect communities and steers evidence-based policy responses.

Opinion leaders wield comparable influence over attitudes and behaviour. Experts, public figures, and social-media influencers use their platforms to disseminate timely, accurate knowledge; yet antivaccination advocates and other disinformers can exploit the same channels to entrench falsehoods and sow distrust.

Filter bubbles and recommendation filters further determine which messages reach users. Algorithms embedded in social networks and search engines often reinforce pre-existing beliefs, narrowing the spectrum of viewpoints to which audiences are exposed.

Gatekeepers, editors, journalists, and media outlets who decide which stories appear and how they are framed, therefore, assume heightened importance. Their capacity to privilege reliable evidence while suppressing unverified claims is decisive when speed and accuracy are matters of life and death. Gatekeepers must actively facilitate the flow of trustworthy information and curtail the circulation of misleading content.

Ultimately, during a global pandemic, the combined efforts of media institutions, opinion leaders, algorithms, and gatekeepers are indispensable for sustaining an informed citizenry, counteracting disinformation, and safeguarding public health. Upholding media responsibility and credibility under these conditions is essential if societies are to make reasoned, well-governed decisions in the face of collective risk.